

შპს ჯეოთურ კაფეტერია ენდ ფუდ კომპანი ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	3
მოგება-ზარალის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.....	4
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება დეკემბერს დასრულებული წლისთვის	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	6
1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. მომზადების საფუძველი	6
3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	7
4. ფული და ფულის ექვივალენტები.....	11
5. მარაგები	11
6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები.....	11
7. კაპიტალი	11
8. შემოსავალი რეალიზაციიდან.....	12
9. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.....	12
10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	12
12. ძირითადი საშუალებები	13
13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	13

შპს ჯეოთურ კაფეტერია ენდ ფუდ კომპანი

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარი)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31
დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31-12-19	31-12-18
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	19,135	17,852
სავაჭრო მოთხოვნები		17,998	12,917
გადახდილი ავანსები		39,820	144,635
მარაგები	5	535,679	338,348
სხვა მიმდინარე აქტივები		104,235	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		716,867	513,752
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	12	1,004,809	1,330,024
არამატერიალური აქტივები		33,274	33,274
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,038,083	1,363,298
მთლიანი აქტივები		1,754,950	1,877,050
ვალდებულებები და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	6	912,605	640,191
გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი	6	20,310	7,891
მოკლევადიანი სესხები	6	301,670	250,415
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,234,585	898,497
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი	7	2,070,297	2,167,406
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		(1,549,932)	(1,188,853)
სულ საკუთარი კაპიტალი		520,365	978,553
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		1,754,950	1,877,050

დირექტორი



აჰმეტ ჰაითაოღლუ

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31-12-19	31-12-18
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	19,135	17,852
სავაჭრო მოთხოვნები		17,998	12,917
გადახდილი ავანსები		39,820	144,635
მარაგები	5	535,679	338,348
სხვა მიმდინარე აქტივები		104,235	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		716,867	513,752
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	12	1,004,809	1,330,024
არამატერიალური აქტივები		33,274	33,274
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,038,083	1,363,298
მთლიანი აქტივები		1,754,950	1,877,050
ვალდებულებები და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	6	912,605	640,191
გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი	6	20,310	7,891
მოკლევადიანი სესხები	6	301,670	250,415
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,234,585	898,497
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი	7	2,070,297	2,167,406
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		(1,549,932)	(1,188,853)
სულ საკუთარი კაპიტალი		520,365	978,553
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		1,754,950	1,877,050

დირექტორი -----

აჰმეტ ჰაითაოღლუ

მოგება-ზარალის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31-12-19	31-12-18
შემოსავალი რეალიზაციიდან	8	2,399,827	2,510,561
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	9	(1,362,529)	(1,626,596)
საერთო მოგება		1,037,298	883,965
ხელფასები და სხვა სარგებელი		(204,163)	(243,141)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(755,987)	(798,932)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი		(340,463)	(289,784)
სხვა ხარჯები		(39,019)	(46,892)
საოპერაციო ზარალი		(302,334)	(494,785)
საპროცენტო ხარჯი		(15,715)	(19,501)
მოგება საკურსო სხვაობიდან		(43,030)	(12,189)
ზარალი დაბეგვრამდე		(361,079)	(526,475)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა ზარალი		(361,079)	(526,475)

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარი		1,855,173	(662,378)	1,192,795
წმინდა ზარალი		-	(526,475)	(526,475)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	7	312,233	-	312,233
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერი		2,167,406	(1,188,853)	978,553
წმინდა ზარალი		-	(361,079)	(361,079)
საწესდებო კაპიტალი შემცირება	7	(97,109)	-	(97,109)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერი		2,070,297	(1,549,932)	520,365

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

საოპერაციო საქმიანობა

	2019	2018
მოგება დაბეგვრამდე	(361,079)	(526,475)

კორექტირებები:

საპროცენტო ხარჯი	15,715	19,501
ზარალი საკურსო სხვაობიდან	43,030	12,189
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	340,463	289,784
ცვლილება სავაჭრო მოთხოვნებში	(5,081)	(4,845)
ცვლილება გადახდილ ავანსებში	104,814	(25,116)
ცვლილება მარაგებში	(197,331)	66,697
ცვლილება სხვა მიმდინარე აქტივებში	(104,235)	-
ცვლილება სავაჭრო ვალდებულებებში	272,414	334,667
ცვლილება გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი	12,419	1,505
ცვლილება სხვა ვალდებულებებში	51,255	(359,750)

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	172,385	(191,843)
---	----------------	------------------

საინვესტიციო საქმიანობა

ძირითადი საშუალების შეძენა	(15,248)	(95,079)
არამატერიალური აქტივების ცვლილება	-	92

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(15,248)	(94,987)
---	-----------------	-----------------

ფინანსური საქმიანობა

პროცენტის გადახდა	(15,715)	(19,501)
სესხის აღება	(43,030)	(12,189)
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(97,109)	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	312,233

ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	(155,854)	280,543
--	------------------	----------------

ფული და ფულის ექვივალენტების ზრდა	1,283	(6,287)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	17,852	24,139

ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	19,135	17,852
---	---------------	---------------

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ჯეოთურ კაფეტერია ენდ ფუდ კომპანი დაფუძნდა 2015 წელს და რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: ვაკე-საბურთალოს რაიონი, ი.ჭავჭავაძის გამზ., #37დ, ბ. 15. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 405130255. კომპანიის მფლობელია შემდეგი ოთხი ფიზიკური პირი:

გიორგი ჭაჭიაშვილი (პ/ნ 01007009268) – 25%

გურამ გოგუა (პ/ნ 61001001050) – 25%

თეიმურაზ ჯირით, თურქეთი (31996038470, U 01177188) – 25%

აჰმეთ ჰაითაოღლუ, თურქეთი (U14354390, U00337957, 27430927486) – 25%

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სარესტორნო მომსახურება. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს პარტნიორთა კრების მიერ დანიშნული დირექტორი გიორგი ჭაჭიაშვილი (ს/კ 01007009268), რომელიც აგრეთვე არის კომპანიის 25% წილის მფლობელი.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ მისი საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების

შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

4.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში. 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2019 წლის 31 დეკემბერი	2.8677	3.2095
2018 წლის 31 დეკემბერი	2.6766	3.0701

4.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს მე-16-ე განყოფილების "ძირითადი საშუალებების" შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და

ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	30
მანქანა-დანადგარები	5-10
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
ავეჯი და ოფისის მოწყობილობა	2-8
სხვა ძირითადი საშუალებები	2-4

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

4.3 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, რომლის შემოღების მიზანი იყო გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარება და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ძირითად სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება, მაშინ, როცა ძველი მოდელის მიხედვით, კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით.

მოგების გადასახადის 15 პროცენტის განაკვეთი უცვლელი დარჩა, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით.

დაბეგვრის ახალი მოდელი ეხება ყველა საწარმოს, გარდა კომერციული ბანკებისა, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, საკრედიტო კავშირებისა, ლომბარდებისა, “ნავთობისა და გაზის შესახებ” კანონით დადგენილი შესაბამისი საწარმოებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორებისა.

4.4 მარაგები.

მარაგი ისეთი აქტივია, რომელიც: ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში; ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში; გ) წარმოადგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომელიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარელიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

ნეტო სარელიზაციო ღირებულება არის წმინდა თანხა, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში მარაგის გაყიდვის შემდეგ.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მათ შემენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება შემდეგი დანახარჯები: ა) ნედლეულისა და მასალების ზენორმატიული დანახარჯები; ბ) მარაგის შენახვის დანახარჯები, იმ დანახარჯების გარდა, რომელთა გაწევა აუცილებელია საწარმოო პროცესის ერთი სტადიიდან მომდევნო სტადიაზე გადასასვლელად; გ) ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები; დ) გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები.

თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს საშუალო შეწონილის მეთოდი.

კომპანიის მარაგების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს მასალები და ნედლეული, რომელიც გამოიყენება ძირითად საქმიანობაში და ჩამოწერის დროს შეადგენს თვითღირებულების ნაწილს.

4.5 შემოსავალი

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

4.6 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები გულისხმობს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და წლიური ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმომ დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი უნდა აღიაროს, როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი. (თვითღირებულების ნაწილი, თუ იგი ჩასართველია თვითღირებულების გაანგარიშებაში)

4.7 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-2019	31-12-2018
ნაღდი ფული სალაროში	10,043	4,729
ფული საბანკო ანგარიშებზე	9,092	13,123
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	19,135	17,852

5. მარაგები

კომპანიის მარაგების უმეტეს ნაწილს წარმოადგენს ნედლეული, რომლითაც მზადდება მზა პროდუქცია. ნედლეულის შესყიდვა ხორციელდება როგორც საქართველოში, ასევე იმპორტის გზითაც. იმპორტირებული პროდუქტი არის ნახევარფაბრიკატის სახის და ადგილზე გარდაიქმნდება მზა პროდუქციად.

6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	31-12-2019	31-12-2018
სავაჭრო ვალდებულებები	912,605	640,189
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	20,310	7,891
საგადასახადო ვალდებულებები	-	11,409
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	301,670	239,007
სულ ვალდებულებები	1,234,585	898,496

7. კაპიტალი

2018 წელს მოხდა დამფუძნებლების მიერ საწესდებო კაპიტალის ზრდა 312,233 ლარის ოდენობით. 2019 წელს კი შემცირება 97,109 ლარის ოდენობით.

8. შემოსავალი რეალიზაციიდან

კომპანიის შემოსავლის ძირითადი წყარო არის სარესტორნო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი.

9. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანია ნედლეულს ყიდულობს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე იმპორტით. იმპორტირებული პროდუქტი წარმოადგენს ნახევარფაბრიკატს და ადგილზე ხდება მათი მზა პროდუქციად გადაქცევა. წარმოება ხორციელდება საკუთარი ძალებით. აღნიშნული ნედლეულის ხარჯში აღიარება ხდება შემოსავლის დარიცხვის შესაბამის პერიოდში, შესატყვისობის პრინციპის თანახმად. აღნიშნულ ხარჯში შედის ცვეთის ხარჯი და ასევე პერსონალის ხელფასები.

10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ხარჯების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს იჯარის ხარჯი, რომელიც შედგება სარესტორნო ფართის იჯარისა და საწყობების იჯარის თანხისგან და განისაზღვრება 496,956 ლარით, ასევე მნიშვნელოვანი ხარჯია ჰიგიენური საშუალებების ხარჯი (76,895 ლარი) და საბანკო სერვისების ხარჯი (20,981 ლარი). ადმინისტრაციულ ხარჯებში ასევე შედის კომუნალური, პერსონალის, სამეურნეო და სხვა ხარჯები.

11. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

11.1 სესხები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიას აქვს დამფუძნებლის მოკლევადიანი სესხი, რომელიც 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 217,011 ლარს.

12. ძირითადი საშუალებები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები ჯგუფებად:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დაგროვილი ცვეთა	საბალანსო ღირებულება
იჯარით. აღებ. ქონ. მოწყობა	726,750	(332,108)	394,642
მანქანა-დანადგარები	419,462	(281,303)	138,159
სატრანსპორტო საშუალებები	15,086	(5,135)	9,951
ავეჯი და ოფისის მოწყობილობა	600,860	(159,684)	441,176
სხვა ძირითადი საშუალებები	24,566	(3,685)	20,881
	1,786,724	(781,915)	1,004,809

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

COVID-19-ით გამოწვეული გლობალური კრიზისის გამო, მარტის მეორე ნახევარში საქართველოში გამოცხადდა ე.წ. ლოქდაუნი, რამაც მრავალი ბიზნესის საქმიანობის შეჩერება და/ან დისტანციურ რეჟიმზე გადასვლა განაპირობა. ლოქდაუნმა ორი თვე გასტანა. აღნიშნულის გამო, კომპანიას შეუმცირდა რეალიზაცია. თუმცა ამ ანგარიშგების თარიღისთვის ლოქდაუნი მოხსნილია და კომპანია სრული დატვირთვით ფუნქციონირებს.